



**კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი**
KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

საქართველო – ბიზანტია - ქრისტიანული აღმოსავლეთი
(კულტურათა ურთიერთობების აქტუალური პრობლემები)

**საერთაშორისო კონფერენცია
2017 წლის 25-27 სექტემბერი**

საქართველოს ადგილი თანამედროვე ევროპულ სამყაროში განისაზღვრება მისი კულტურული და ისტორიული გამოცდილების სწორი წარმოჩენით მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში. ამ მიზანს ემსახურება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. ქართული კულტურა მონაწილეა დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარე კულტურული პროცესებისა და კულტურათა შორის დიალოგისა, როგორც ზოგადი ქრისტიანული სამყაროს უმნიშვნელოვანესი და უძველესი ნაწილი, რომელმაც შუა საუკუნეებში დიდი წვლილი შეიტანა ქრისტიანული ლიტერატურის, ფილოსოფიის და ხელოვნების განვითარებაში. ამდენად, მისი ურთიერთობა ბიზანტიასა და აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროსთან უაღრესად აქტუალური თემაა.

გლობალიზაციის კონტექსტში მნიშვნელოვანია საერთაშორისო კვლევითი გამოცდილების გაზიარება საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმის ფარგლებში. საქართველოს, ბიზანტიისა და ქრისტიანული აღმოსავლეთის კულტურათა ურთიერთგავლენების კვლევა ჰუმანიტარულ მეცნიერებაში პრიორიტეტულია.

გიწვევთ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში **“საქართველო - ბიზანტია - ქრისტიანული აღმოსავლეთი”** მონაწილეობის მისაღებად. კონფერენცია ჩატარდება 2017 წლის 25-27 სექტემბერს კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (საქართველო, თბილისი, მ. ალექსიძის 1/3).

სამუშაო ენებია ქართული და ინგლისური.

გთხოვთ გამოგვიგზავნოთ CV და თეზისები (არაუმეტეს 500 სიტყვისა; ქართული ტექსტი AcadNusx, ინგლისური Times New Roman-ში. ქართულ ტექსტს უნდა ახლდეს ინგლისური თარგმანი) შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: manuscript.conference@gmail.com

თეზისების გამოგზავნის ბოლო ვადაა 30 ივნისი.

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია უძველესი ხელნაწერი წიგნებისა და ისტორიული საბუთების უმნიშვნელოვანესი კოლექცია. ცენტრი დაარსების დღიდან იყო საერთაშორისო ქართველოლოგიური კვლევების ინიციატორი და არაერთი საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზატორი.

კონფერენცია მოიცავს შემდეგ თემებს: ფილოლოგია, ისტორია, ღვთისმეტყველება, ხელოვნებათმცოდნეობა.

I სექცია - საქართველო

1. საქართველო და ქრისტიანული აღმოსავლეთი ადრე შუა საუკუნეებში
2. საქართველო და ქრისტიანული თეოლოგია
3. საქართველო და ბიზანტიური ლიტერატურა
4. საქართველო და ბიზანტიური ხელოვნება
2. ქრისტიანული აღმოსავლეთის მხატვრული ტრადიციები ქართულ კულტურაში
3. ქართული სამწიგნობრო კერები ქრისტიანულ აღმოსავლეთში (ანტიოქია, პალესტინა, სინა)

II სექცია - ბიზანტია

1. თეოლოგია
2. ლიტერატურა, სამწიგნობრო კერები
3. ბიზანტიური ხელოვნება
4. ისტორიოგრაფია, არქეოლოგია

III სექცია - ქრისტიანული აღმოსავლეთი

4. ქრისტიანული აღმოსავლეთი ადრე შუა საუკუნეებში
5. ქრისტიანული აღმოსავლეთის მხატვრული ტრადიციები
6. ქრისტიანული აღმოსავლეთი- ისტორიოგრაფია, არქეოლოგია
7. სამწიგნობრო კერები ქრისტიანულ აღმოსავლეთში (ანტიოქია, პალესტინა, სინა)
8. ციფრული ფილოლოგია

საორგანიზაციო კომიტეტი